ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7518922

ნომერი: AR11094689

თარიღი : 13.06.2025

გაცემის თარიღი : 17.06.2025

გაცნობის თარიღი : 18.06.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ძოწის , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ლეჟავა პ/ნ 01008057813
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 17 ბ. 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 13 ივნისს №AR11094689 განცხადებით მომართა გიორგი ლეჟავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის

№7439660 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანებით №01.14.01.008.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 7 აპრილიდან 2025 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2025 წლის 8 აპრილის №7442025 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, მოთხოვნილია ავტოსადგომის ფართობად 680.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1781.4 კვ.მ-ის დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882025356913, მომზადების თარიღი: 31/03/2025) №01.14.01.008.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "თეთრი კვადრატი მინდელზე" (405589395). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის შესაბამისად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22163014, მომზადების თარიღი: 30/12/2022), შპს "თეთრი კვადრატი მინდელზე"-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შორენა დარჩიაშვილი (პ/ნ: 01015005334). 2025 წლსი 14 თებერვლის №AR11077914 განცხადებით წარმოდგენილია შორენა დარჩიაშვილის მიერ გიორგი ლეჟავას სახელზე გაცემული 2025 წლის 24 იანვრის მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობის ცვლილება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და საერთო ფართობი 13839.2 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება - 14939.8 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი: 1781.4 კვ.მ., საერთო ფართობი 14939.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანებით შეთანხმებული -6.2 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 აპრილის №7439660 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.